

6-29

34 (05)

6-29



ქართული
საბჭო, რესპუბლიკის

საქართველოს სოც.



საბჭო, რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
სამშეთა მმართველობის გამოსცემა

1933 წ. აპრილის 20.

№ 7

მშვილდისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მეწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

94. საველეხეხლო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ.

95. 1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შეცვლის შესახებ.

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ა

96. „ოთხეხვი საქონლისა და ხორციელის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის თაობაზე“ გამრეცხული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ვაჭრობა, მთმარაგება

97. საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეტრნეებისა და ინდივიდუალური შრომითი, საგლეხო მეურნეობებისათვის თავიანთი პურფელის სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებზე და აგრეთვე ბაზრებზე და სადგურებზე დაუბრკოლებლად გაყიდვის ნებართვის შესახებ.

98. 1933 წლის მრსავლის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

99. ხორციის დამზადების გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა შესახებ.

100. კოლმეტრნეების და ინდივიდუალური მეურნეების ტყით დაპოვმირებისა და საკოლმეტრნეო ბაზრებზე შეშის ვაჭრობის შესახებ.

კონუნადური და ხაზინაო მეურნეობა

101. მშრომელთა საბინარო უფლებების, სფეროში რევილუციონური კანონირების განმტკიცების შესახებ.

102. მუშათა და გლეხთა მშოიციის მომუშავეებისათვის განსახლურული საფორმირებელი ღარი-თობის შესახებ.

103. „დავერილი სადგომებიდან“ შთქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლისათვის „ნ“ პუნქტის დამატების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ე

104. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსალების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის თებერლის 9-ის დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტისა და მე-16 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი

105. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 31² მუხლის დამატების შესახებ.

106. სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლის შეცვლის შესახებ.

107. სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლის მე-3 ნაწილის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა



საქართველოს
სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო ინსტიტუტი

94. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს. მიხედვით

სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ.

„სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისიის აშხ. იაკოვლევის მოხსენების გამო „კოლექტიური მეურნეობების განმტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. იანვრის 30-ის დადგენილების მე-III კარის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-6 №-ი, მუხ. 41), სახელდობრ იმ ნაწილისა, რაც სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარებას ეხება, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—დაამყარონ ყველა კოლექტიური მეურნეობისა, კოლმეურნისა და ინდვიდუალური მეურნეობისათვის სავალდებულო აგრონომიული წესები.

2. სავალდებულო აგრონომიულ წესებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

1. შემცირების სფეროში:

1) ნიადაგის მომზადების ვადები (მოხენა, დაფარვა, პლანტაჟი და სხვა მისთ.);

2) ნაკელის შეტანა (ნორმები, ვადა, წესი);

3) სათესი და სარგავი შასალის მომზადება (გაწმენდა, დაბარისხება, დაწამლა და სხვა მისთ.);

4) დათესვისა და დარგვის ვადები და წესი (მწკრივი, ბუდობითი ნორმები);

5) კულტურათა და ნარგავთა დამუშავების ვადები (კულტივაცია, გამარგვლა, შეთხრა და სხვა მისთ.);

6) მრავალწლიან ნარგავთა მოვლა (გასხლევა, გაფორმება);

7) მორწყვის ოდენობა და ვადები;

8) მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლა;

9) სარეველასთან ბრძოლა;

10) მოსავლის აღების ვადები და წესი;

11) ვალეწვის ვადები და შენახვის წესი;

12) დანაკლისებთან ბრძოლა;

13) სანასვენოდ და აღრეულად მოხენის ვადები, მძრალად ხენა;



II. მეცხოველეობის ხვეროშა:

- 1) ცხოველთა კვება (სხვადასხვა საკვების ნორმები და სხვა);
- 2) ოთხფეხი საქონლის მოვლა;
- 3) ცხოველთა დაგროვება (ნორმა და წესი, წლოვანება, სანაწენოთა შერჩევა);

- 4) წყალსასმევი ადგილების შენახვა;
- 5) ცხოველთა ჩასაფლობი ადგილების მოწყობა;
- 6) ეპიზოოტიებთან ბრძოლა;
- 7) მინდვრებისა და საძოვრების გაუმჯობესება.

3. სავალდებულო აგრონომიული წესები შემოღებულ უნდა იქნეს სავალდებულო დადგენილებებით მას შემდეგ, რაც ამ დადგენილებების პროექტებს წინასწარ დაამტკიცებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც დამტკიცებული პროექტების ასლებს უგზავნიან ცნობისათვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

4. აგრონომიული წესების შეუსრულებლობა გამოიწვევს საადმინისტრაციო წესით: ზავედურის გამოცხადებას, საზოგადოებრივ გაკიცხვას, ნატურალურ ან ფულად ჯარიმას ისეთი რაოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს შეუსრულებელი ღონისძიების ზუთჯერად რაოდენობას, ან ას მანეთამდე, უკეთეს შეუსრულებელი ღონისძიების შეფასება შეუძლებელია, ხოლო წესების ბოროტეულად დარღვევის შემთხვევაში—სასამართლოს წესით სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის სათანადო ნაწილების თანახმად, უკეთეს შემთხვევაში არ შეიცავს სისხლის სამართლის სხვა კანონებით სადევნელ უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნებს.

5. მეთვლყურობას სავალდებულო აგრონომიული წესების აღსრულებით-სათვის ამყარებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოები—სასოფლო საბჭოებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შემთხვევით.

6. სავალდებულო დადგენილებათა პროექტები სავალდებულო აგრონომიული წესების შემოღების შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში (მუხ. 3) არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 7-ისა.

7. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებანი:

ა) 1929 წ. აპრილის 24-ისა „მოსავლიანობის გასაღები“ მარტივ აგროკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-ი, მუხ. 101);

ბ) 1930 წ. ივნისის 29-ისა „მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო მასურ ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 198) —

და მოსპობილ იქნეს ამ დადგენილებათა მოქმედება რაიონებში სავალდებულო აგრონომიული წესების გამოცემის დროიდან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. შვალაძე-შვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1933 წ. თებერვლის 26.

ტელისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 54 №-ში 1933 წ. მარტის 6.

95. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შეცვლის შესახებ.

„1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვის სექტორობითი, კულტურობითი და რაიონობითი გეგმის შესახებ“ გამოცემულ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. თებერვლის 1-ის დადგენილებასთან („ზარია ვოსტოკას“ 29 №-ი, 1933 წ. თებერვლის 4-ისა), „სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვის შესახებ“ გამოცემულ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებასთან და „1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შეცვლის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 17-ის დადგენილებასთან („ზარია ვოსტოკა“-ს 41 №-ი, 1933 წ. თებერვლის 18-ისა) დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“ 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ“ გამოცემული თავისი 1933 წ. იანვრის 19-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შესაცვლელად (კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 53; „კომუნისტის“ მე-18 №-ი, 1933 წ. იანვრის 21-ისა) აღდგენს:

I. დამტკიცებულ იქნეს 1933 წლის გაზაფხულისათვის საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 656,55 ათასი ჰექტარის რაოდენობით შემდეგი დანაწილებით კულტურებზე (ათას ჰექტარობით):

1) სულ მარცვლეული	528,5
აქედან:	
ხორბალი	50,0
ქერი	76,0
შერია	2,8
სიმინდი	386,5
ფეტვი	6,5
სხვა მარცვლეული	6,7
2) ტექნიკური	50,55
აქედან:	
ბამბა	18,0
თამბაქო	18,2
კანაფი	0,4
შაქრის კარბალი	4,1
მზეუჭვრიტა	5,5
სელი	2,0
არაზისი	1,5
ეთერ-ზეთოვანი	0,7
ლუფა	0,15
3) ბოსტნეულ-ბალჩეული	40,8
აქედან:	
კარტოფილი	18,5
ბოსტნები	19,7
ბალჩები	2,5
ბატატები	0,1
4) საკვები	28,8
აქედან:	
მრავალწლიანი ბალახები	7,4
ერთწლიანი ბალახები	17,7
ფესვნაყოფა	1,0
სასილოსე ნათესი	2,7
5) წარსული წლების ბალახები	7,9
6) ამის გარდა რიგებსშუა ნათესები მთლიანზე გადატანით:	
სოია	25,0
ლობიო	25,0

II. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო/კომისარიატს— შეიტანოს სათანადო ცვლილებანი სარაიონო გეგმებში საქ. სსრ. ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიძის/საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. თებერვლის 27.

ტფილისი.

3 ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ა

96. დადგენილება ს.კ.ს.

„ოთხეუბი საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ოთხეუბი საქონლის დაკვლის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებული ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიურა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების თანახმად (ოქმი № 20), საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილებისა „ოთხეუბი საქონლის და ხორცეულის ვაჭრობის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 137) და მიღებულ იქნეს იგი შემდეგი რედაქციით:

[წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:.....]

„ვ) განისაზღვროს სავალდებულო დადგენილებათა წესით, რომ ხორცეული პროდუქციის გაყიდვა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დიდრონ დასახლებულ ადგილებში, საკურორტო და სააგარაკო ადგილებში შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს პროდუქცია სათანადოდ დათვალიერებულ იქნება სანიტარულად, და ეს დათვალიერება დამოწმებულ იქნება გასაყიდ პროდუქტებზე სპეციალური წიწნებით (დალის დასმა, პლომბირება და სხვა მისთ.); თანაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასანიტარო დათვალიერების ისეთი პირობები, რაც არ შეაფეროებს კოლმეურნეობისა და ინდივიდუალური მეურნეობის ვაჭრობას“.

2. აღნიშნული დადგენილების 1-ლ მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:



„შენიშვნა 2. საქალაქო სასაკლავოებში კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა კუთვნილი ოთხფეხი საქონლის დაკვლის პროდუქცია მთლად თავისუფალია ხორცის ტრესტებისათვის ჩაბარებისაგან, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაციების კუთვნილი ოთხფეხი საქონლის პროდუქციიდან სავალდებულოდ ჩასაბარებელია მხოლოდ დაკლული საქონლის ტექნიკური პროდუქტები (ტყავი, რქა, ნაწლევი, ტექნიკური ქონი, სისხლი, ენდოკრინი)“.

3. 1-ლი მუხლის უკვე არსებული შენიშვნა ჩაითვალოს პირველ შენიშვნად.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 3 დადგენილება „ხორცის სავალდებულო დადაღვის შესახებ“ (სსრ კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 95).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალთბლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. თებერვლის 21.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

97. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი საკლავო მეურნეობებისათვის თავიანთი პურეულის სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და აგრეთვე ბაზრებზე და სადგურებზე დაუბრკოლებლად გაყიდვის ნებართვის შესახებ.

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში პურეულის დამზადებისა და სავაჭარო სათვისლე ფონდის დაგროვების წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის ნებართვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ შრომითი საკლავო მეურნეობებს აწარმოონ რესპუბლიკის ფარგლებში ზედმეტი პურეულის (ფქვილისა, მარცვლისა და გამოცხვარი პურის) დაუბრკოლებელი გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და აგრეთვე ბაზრებზე, სადგურებზე და საკოლმეურნეო დუქანებში.

2. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მარცვლეულისა, ფქვილისა და პურეული პროდუქციის გაყიდვისა, გადაზიდვისა და ვაჭრობისათვის საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით შეზღუდვა, ხოლო ეს შეზღუდვა შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს სსრ ფარგლებ გარედ პურეულის გადაზიდვისა და გატანისათვის.

3. მიენდოს იფბაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ ამა დადგენილების 1-ლი მუხლის სრული აღსრულება;

ბ) გააძლიერონ ბრძოლა პურის სპეკულაციასთან და გადაწყიდევლებთან და აძლიონ ამ კვებობაში დამნაშავე პირნი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 255).

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ ამა დადგენილების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტში აღნიშნული საწყევების რიგს გარეშე და დაუყოვნებელი გამოძიება და განხილვა იუსტიციის ორგანოების მიერ.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის. მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. თებერვლის 21.

ტფილისი.

გამოკვეთებულია ვაზ. „კომუნისტის“ 44 №-ში 1933 წ. თებერვლის 22.

98. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის მოსავლის ბაზზის კონტრაქტაციის შესახებ.

„1933 წლის მოსავლის ბაზზის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. თებერვლის 11-ის თარიღისა და 149 №-ისა დადგენილებისა და აქსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1933 წ. თებერვლის 22-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღგენს:

1. 1933 წლის მოსავლის ნედლი ბაზზის პროდუქციის განსაზღვრისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მოსავლიანობა რაიონებში კილოგრამობით 1 ჰექტარზე:

რაიონები	კოლექტიური მეურნ.	ინდივიდ. სა- გლეხო მეურნ.	ეროვნული სამეურნეო რაიონში
ბორჩალოს	655	638	645
ლუქსემბურგის	571	557	560
ყარაიას	600	580	596
სიღნაღის	520	510	511
გურჯაანის	520	510	511
საგარეჯოს	520	500	510
ს უ ლ	624	599	610

2. დამტკიცებულ იქნეს 1933 წლის მოსაეღის ნედლი ბამბის კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომის მეურნეობებში კონტრაქტაციის გეგმა 9.720 ტონის რაოდენობით და შემდეგი განიწილებით რაიონებზე და ორიენტირულად სექტორებზე (ტონობით).

რაიონები	კოლექტიური მეურნ.	ინდივიდ. სა- გლეხო მეურნ.	ს უ ლ
ბორჩალოს	2.418,4	3.815,2	6.233,6
ლუქსემბურგის	95,4	352,6	448
ყარაიას	1.382,8	331,8	1.714,6
სიღნაღის	86,3	652,8	739,1
გურჯაანის	22,4	329,5	351,9
საგარეჯოს	104,7	128,1	232,8
ს უ ლ	4.110	5.610	9.720

შენიშვნა 1. ის ნედლი ბამბა, რასაც კოლექტიური მეურნეობანი გადარიცხავენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განკარგულებაში სააგრო-საწარმოო მომსახურეობისათვის, კონტრაქტაციის გეგმაში არ შედის და საამისოდ საქონელი არ გაიცემა.

შენიშვნა 2. კულაქურ-შემღებულ მეურნეობათა ბამბა არ დაკონტრაქტდება და ჩაბარდება დამზადებულ პუნქტებს მტკიცე დავალებათა

მიხედვით, რასაც ამ მეურნეობებს მისცემენ სასოფლო საბჭოებში; ეს ბაზმა კონტრაქტაციის გეგმაში არ შედის.

3. დავალოს საქართველოს ტრაქტორცენტრს—მთლად ის ნედლი ბამბა, რასაც მიიღებენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები კოლექტიური მეურნეობების საწარმოო მომსახურების გაწევისათვის, ჩააბაროს საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორას განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე.

4. ნედლი ბამბის კონტრაქტაცია და ყველა ანგარიშის გასწორება კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების მიხედვით დაეკისროს საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორის სისტემას.

5. დავალოს საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორას—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები კოლექტიურ მეურნეობებთან დასდოს კოლექტიური მეურნეობის საწარმოო გეგმისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საწარმოო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეობებთან—ცალკეულ კომლემბედ სასოფლო საბჭოების მიერ მიწვდენილი თესვის მტკიცე გეგმების კვალობაზე შემოწმებული სიების თანახმად.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს ტრაქტორცენტრს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის საწარმოო შეთანხმებითა დადება დამთავროს 1933 წ. მარტის 3-დღე.

7. ბამბის კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 25-ისა.

8. დავალოს საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორას—შეუდგეს დაუყოვნებლივ კოლექტიური მეურნეობებისათვის ბამბის თესლის დარიგებას; ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს თესლი უნდა მიეცეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს.

9. ბამბის დასათესი თესლი გაცემულ უნდა იქნეს ნისიად (მოსავლის რეალიზაციამდე) 1 ჰექტარზე 50 კილოგრამის ნორმით; ამერიკული ბამბისა—4 კაპიკად და ეგვიპტური ბამბისა—6 კაპიკად.

შენიშვნა 1. იმ რაიონებში, სადაც „საფსუვარი“ იქნება წარმოებულს, გასაცემი თესლის ნორმა გადიდებულ უნდა იქნეს 5 კილოგრამით.

შენიშვნა 2. დასათესი თესლის ღირებულება ფულადი ავანსების ნორმაში არ შედის.

შენიშვნა 3. კულაჯურ-შექლებულ მეურნეობებს თესლი ეძლევათ ანგარიშის ნაღდი გასწორებით კილოგრამი 6 კაპიკად.

10. უკეთეს დასათესი თესლი გამოყენებულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ (საქონლის გამოკვება, გაყიდვა და სხვა მისთ.), კონტრაქტანტი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ გამოცემული 1933 წ. აგვისტოს 7-ის კანონის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360).

11. დაველოს საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორას—დაამთავროს ბამბის დასათესი თესლის წარგზავნა ღარიგების ადგილებზე არა უგვიანეს 1933 წლის მარტის 5-ისა.

12. ერთ ტონა ნედლ ბამბაზე გასაცემი ავანსის საშუალო ნორმის—56 მან. ვარაუდით—დაწესებულ იქნეს ფულადი ავანსის გაცემა ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ამერიკული თესლის ბამბაზე შემდეგი რაოდენობით და სექტორობით:

	ხელშეკრულებების დადების დროს ნორმის 20%	ჯეჯილის შემოწმების შემდეგ ნორმის 60%	მე-2 გამარჯვლის და კულტივაციის წარმოების და შემთავების შემდეგ ნორმის 20%	სულ ნორმის 100%
კოლექტიური მეურნეობებისათვის	12 მან. და 88 კაპ.	38 მან. და 64 კაპ.	12 მან. და 88 კაპ.	64 მან. და 40 კაპ.
ინდივიდ. შრომ. მეურნეობ-თვის	9 მან. და 90 კაპ.	29 მან. და 70 კაპ.	9 მან. და 90 კაპ.	49 მან. და 50 კაპ.

შენიშვნა. ეგვიპტური თესლის ბამბაზე დაწესებულ იქნეს ამერიკული ჯიშის ბამბის ნორმის 100 %-ით გადიდებული ავანსი, ხოლო გადარგული კულტურებისათვის—30%-ით გადიდებული.

13. ერთ ტონა ნედლ ბამბაზე გასაცემი პურის საშუალო ნორმას—5,5 ცენტნერი—ვარაუდით 1933 წელს დაწესებულ იქნეს პურის წლიური გასაცემი ნორმა (სახელმწიფო მტკიცე ფასად) კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის თვითიველ ცენტნერ დაკონტრაქტებულ ამერიკული თესლის ნედლ ბამბაზე (კილოგრამობით):

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კოლექტიური მეურნ.	ინდივიდ. შრომ. მეურნ.
ყარაიას	78,8	58
ბორჩალოს	67,0	47,3
ლუქსემბურგის	61,5	47,3
სიღნაღის	68,9	40,0
გურჯაანის	65,2	40,0
საგარეჯოს	63,0	40,0
ს უ ლ . .	70,8	46,5

14. პური გაცემულ უნდა იქნეს ძირითად საწარმოო პროცენტებთან შედარებით და ამ პროცენტების შესრულების თვისებისა და ოდენობის დადგენილი წლიური ნორმის შემდეგი რაოდენობით:

- საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების დროს 10%
- დათესვისა და ჯეჯილის შემოწმების შემდეგ 12%
- პირველი გამარგელის შემდეგ 15%
- მესამე გამარგელის შემდეგ 10%

პურის წლიური ნორმის დანარჩენი 53% გაცემულ იქნეს მოსავლის რეალიზაციის პერიოდში (ბამბის ჩაბარებისას), ისეთი ვარაუდით, რომ ბამბის ჩაბარებლის მიერ მისაღები პურის საერთო რაოდენობა დადგენილ ნორმას არ აღემატებოდეს.

შენიშვნა. ეგვიპტური თესლის ბამბისათვის გასაცემი ნორმა გადიდებულ უნდა იქნეს ამერიკული ჯიშის ბამბის ნორმასთან შედარებით 100%-ით, ხოლო გადასარგავი კულტურისათვის 30%-ით.

15. დაწესებულ იქნეს ბამბის მთესველების მომარაგება მტკიცე სახელმწიფოებრივი ფასების კვალობაზე: მცენარეული ზეთით, კოპტონით და ბამბით შემდეგი ნორმების თანახმად ერთ ცენტნერ ჩაბარებულ ამერიკული თესლის ბამბაზე (კილოგრამობით):

რაიონები	მცენარეული ზეთი			კოპტონი			ბამბა		
	კოლ. მეურნ., რომელსაც მომსახურ. უწევს სამ. სატრ. სადგ.	კოლ. მეურნ., რომელსაც სამან. სატრ. სადგ. უწევს; არ უწევს	ინდივ. შრომ. მეურნ.	კოლ. მეურნ., რომელსაც მომს. უწევს სამან. სატრ. სადგ.	კოლ. მეურნ., რომელსაც სამან. სატრ. სადგ. მომს. არ უწევს	ინდივიდ. შრომ. მეურნ.	კოლ. მეურნ., რომელსაც მომს. უწევს სამ. სატრ. სადგ.	კოლ. მეურნ., რომელსაც სამ. სატრ. სადგ. მომს. არ უწევს	ინდივ. მეურნ.
ბორჩალოს	1,25	1,15	0,88	2,5	2,3	1,75	0,624	0,573	0,442
ლუქსემბურგის	1,15	"	"	2,3	"	"	0,573	"	"
ყარაიას	1,21	"	"	2,42	"	"	0,604	"	"
სიღნაღის	1,525	"	"	3,05	"	"	0,760	"	"
გურჯაანის	1,44	"	"	2,88	"	"	0,719	"	"
საგარეჯოს	1,39	"	"	2,79	"	"	0,694	"	"
საშუალოდ საქართველოში	1,247	1,15	0,88	2,493	2,3	1,75	0,621	0,573	0,442

აღნიშნული პროდუქტები გაიცემა შემდეგ ვადებში: კოპტონის ხეივანი წილის 50%-ის რაოდენობით ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ და 50% ჩაბარებული პროდუქციის კვალობაზე; მცენარეული ზეთი—25%-ის რაოდენობით დათესვის შემოწმების შემდეგ, 25% მეორე გამარჯვლის შემდეგ და დანარჩენი 50% ჩაბარებული პროდუქციის კვალობაზე; ბამბა—ჩაბარებული პროდუქციის კვალობაზე (მოსავლის რეალიზაციის დროს).

შენიშვნა. ეგვიპტური ბამბის მთესველთათვის მისაცემი მცენარეული ზეთისა და კოპტონის ნორმა გადიდებულ იქნეს 100%-ით ამერიკულ ბამბასთან შედარებით, ხოლო გადასარგველი კულტურების მთესველთათვის 30%-ით.

16. მიენდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან, საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორისთან და „ცეკავ-შირთან“ ერთად განსაზღვროს 5 დღის ვადაზე ბამბის რაიონებისათვის შემოსაზიდი საგეგმავი სამრეწველო საქონლის (აგრეთვე შაქრის და ჩაის) კონტინგენტი, ასორტიმენტი და შემოზიდვის საკალენდრო ვადები.

შენიშვნა. ეგვიპტური ბამბის მთესველთათვის მისაცემი შაქრის და ჩაის ნორმები გადიდებულ უნდა იქნეს 100%-ით შედარებით ამერიკული ბამბის მთესველთათვის დადგენილ ნორმასთან.

17. ბამბის მთესველთა მომარაგება პურით და კოპტონით უნდა სწარმოებდეს ბამბა-დამზადების კონტორის სისტემის მეშვეობით, ხოლო შაქრით, ჩაით, მცენარეული ზეთით და ბამბით—სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით; ამ უკანასკნელი პროდუქტების გაცემა უნდა სწარმოებდეს დამზადებელი პუნქტების მიერ გაცემული სპეციალური ორდერების მიხედვით.

18. როგორც ფულადი, ისე ნატურალური ავანსების დაეარება მოხდება მოსავლის რეალიზაციის დროს; ამასთანავე ამ ავანსების დავლიანება დაიფარება ნედლი ბამბის მოზიდვისა და ჩაბარების კვალობაზე—ჩაბარებული ბამბის თვითღები პარტიის ღირებულების 50%-ის რაოდენობით ოქტომბრის 10-დე (ხოლო ეგვიპტური ბამბისა—ოქტომბრის 20-დე); აღნიშნული ვადის შემდეგ დარჩენილი დავლიანება დაიფარება მთლად მიზიდული ბამბის პირველი პარტიებიდან ისეთი ვარაუდით, რომ ყველა ანგარიში ავანსისა და პურის ხაზით დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. ნოემბრის 15-ისა (ხოლო ეგვიპტური ბამბისა—არა უგვიანეს დეკემბრის 1-ისა).

19. პერსონალური პასუხისმგებლობა ავანსების გასაცემად გადადებული თანხებისა და ნატურალური ავანსების ფონდების ხარჯვისათვის პირდაპირი მიზნობრივი დანიშნულებისამებრ, აგრეთვე ფულადი და ნატურალური ავანსების დაფარვისათვის დაეკისროს დამზადებელი პუნქტების გამგეებს და ბამბის ქარხნების დირექტორებს.

20. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებისა და ბამბის წარმოების დროს ჩატარებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა ფაქტური შემოწმებისათვის მოწყო-



ბილ იქნეს ადგილებზე კომისიები შემდეგი შედგენილობით: წარმომადგენელი სასოფლო საბჭოებისა (კომისიის თავმჯდომარე), დამზადებელი კონსტრუქციული სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა (წევრნი).

21. აგროტექნიკურ ღონისძიებათა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ფულადი და ნატურალური ავანსების ნაწილობრივ შემცირებას ან მთლად მოსპობს, ხოლო ბოროტული შეუსრულებლობა ხელშეკრულების პირობებისა და მტკიცე დავალებებისა—პასუხისმგებლობას სისხლის სპმართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

22. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს ბამბა-დამზადების კონტორასთან და საქართველოს ტრაქტორცენტრთან ერთად, შეიმუშაოს და მიაწოდოს ერთი დეკადის ვადაზე რაიონებს ინსტრუქციები შემოწმებელი კომისიების მუშაობისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების ფაქტიური აღსრულების შემოწმების წესის შესახებ.

23. რადგანაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულება უაღრესი მნიშვნელობის აქტია ორმხრივი ვალდებულებებით, წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და ბამბის ქარხნების დირექტორებს და შემსყიდველი პუქტების გამგეებს—მისცენ საკონტრაქტაციო-სახელშეკრულებო კამპანიას ფართო მასური პოლიტიკური-სამეურნეო კამპანიის ხასიათი, თანაც დაწერილებით განუმარტონ ბამბის მთესველთ შეპირობებული მზარეების მოვალეობანი და შეუძლებელყონ ხელშეკრულებების შექანიკურად დადება.

24. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—გაუწიონ ბამბა-დამზადების კონტორის სისტემას აქტიური დახმარება და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მას საკონტრაქტაციო კამპანიის თავის დროზე და წარმატებით ჩატარების საქმეში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

99. დადგენილება ს.კ.ს.

ხორცის დამზადების გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა შესახებ.

„1932 წლის მე-IV კვარტალში ხორცის დამზადების შედეგების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 24-ის თარიღისა და 87 №-ის დადგენილებაში აღნიშნულია მთელი რიგი ნაკლოვანებანი „ხორცის დამზადების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების განხორციელების საქმეში; ეს ნაკლოვანებანი საქართველოს სსრ დამზადებელი და სარაიონო ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში სავსებით დადასტურებულ იქნა საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. თებერვალში ჩატარებული ამორჩევითი გამოკვლევით. ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემოაღნიშნული, 1933 წ. იანვრის 24-ის თარიღისა და 87 №-ის დადგენილების მიხედვით, ადგენს:

1. აღინიშნოს:

ა) რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივმა საბჭოებმა მეურნეობათა თვალსაზრისით რიცხვი არ ჩააბეს ხორცის დამზადების სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა აღსრულებაში და რომ აგრეთვე სასოფლო საბჭოებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამა თუ იმ ადგილას უკანონოდ გაანთავისუფლეს მეურნეობანი ხორცის ჩაბარებისაგან და თვითნებულად შეაკვირეს ჩაბარების ნორმები;

ბ) რომ ოთხეუბი საქონლის დამზადებისა და ხარჯვის ოპერატიული ანგარიშგება აქამდე მეტის-მეტად არადაამაკაყოფილებელ მდგომარეობაშია, რაც იმის შედეგია, რომ სასოფლო საბჭოებში ოთხეუბი საქონლის ჩამბარებლების პირადი ანგარიშები სათანადოდ მოგვარებული არ არის, ხოლო ეს გარემოება ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს ხორციული პროდუქტების გაფანტვისა და ვატაციებისათვის;

გ) რომ, მიუხედავად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 21-ის დირექტივისა ადგილებზე სამეულების შექმნის შესახებ, რომელთაც უნდა მოეწყოთ და შეემოწმებინათ ოთხეუბი საქონლისა და ხორციულის პროდუქტების დამზადება და ხარჯვა 1932 წლის მე-III და IV კვარტალებში, აქამდე ეს მუშაობა დამთავრებულია საქართველოს სსრ მხოლოდ 18 რაიონში;

დ) რომ მთელ რიგ მეურნეობათა უკანონოდ დაბეჯერასთან ერთად იყო აგრეთვე შემთხვევები საშუალო და შეძლებული კომლების გადამეტებით დაბეჯერისა;



ე) რომ ოთხთვეხი საქონლის დამზადების სარაიონო გეგმების განსახორციელებლად ვადამეტებითაც შესრულების შემთხვევაში იმ მეურნეობისა და სასაქონლო ბით, რომელნიც თავიანთ ვალდებულებას ვადამდე ასრულებდნენ, არის საკმაოდ დიდი რიცხვი მეურნეობებისა, რომელთაც ხორცის დამზადებაში მონაწილეობა სრულიადაც არ მიუღიათ;

ვ) რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტების არსებობისა, საადმინისტრაციო ორგანოები არ უფარდებენ არაპირიან ჩამბარებლებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ. 1932 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილებით განსაზღვრულ ვადასახდელთა ღონისძიებას (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 244) და ბოროტეულად არაჩამბარებელთა საქმეებს არ უგზავნიან სასამართლო ორგანოებს;

ზ) რომ სსრ კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით საქონლის თვისებისა და სახის კვალობაზე ჩამბარებისათვის დადგენილი ეკვივალენტების შეუფარდებლობის გამო მეურნეობანი ხშირად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს დაავადებული და მიბრუნული საქონლის ჩამბარებით.

2. რათა თავიდან აცილებულ იქნეს ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების განხორციელების საქმეში, რასაც შეუძლიან გამოიწვიოს სერიოზული გარღვევა ხორცის დამზადების 15-თვიანი გეგმის აღსრულების საქმეში:

ა) წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს: ყველა სასოფლო საბჭოს იმ მუშაობის მთლიანად შემოწმებისათვის, მიწვედვიანებულია მათ მიერ თუ არა საქონლის ჩამბარების გეგმები საკომეურნეო სასაქონლო ფერმებამდე და ჩამბარებულია თუ არა ვალდებულებანი საკომეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, — დაუყოვნებლივ მოაწყონ ადგილებზე სპეციალური მუდმივი კომისიები შემდეგი შედგენილობით: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წარმომადგენელი: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარაიონო ორგანოებისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა, მომარაგების ორგანოებისა, ოთხთვეხი საქონლის დამზადების ორგანოებისა და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და მიანდონ ამ კომისიებს — იხმარონ მარტის განმავლობაში ღონისძიებანი ყველა ზემოაღნიშნული დეფექტის თავიდან ასაცილებლად;

ბ) წინადადება მიეცეს ყველა იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, მის თავმჯდომარის პასუხისმგებლობით, რომელსაც აქამდე არ წარუდგენია „საქკოოპნედლეული“-სათვის ცნობები მე-III და IV კვარტალებში ოთხთვეხი საქონლის დამზადებისა და ხარჯვის შემოწმების შედეგების თაობაზე, — წარადგინოს ეს ცნობები არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 5-სა;

გ) განმარტებულ იქნეს, რომ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და სასოფლო საბჭოები ხორცის დამზადების გეგმების შესრულებისათვის, საქონლის

დამზადების გეგმის საბჭოთა მეურნეობებამდე და კოლექტიურ მეურნეობებამდე თავის დროზე მიწოდებისათვის, სახელმწიფოს განკარგულებაში რჩებიან საქონლის ჩაბარების ვალდებულებათა საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის ჩაბარებისათვის და მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა აღსრულების უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებენ ისევე, როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის;

დ) წინადადება მიეცეს იუსტიციის ორგანოებს—აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა და საკოლმეურნეო კომლთა უკანონოდ განთავისუფლებისათვის სახელმწიფოს განკარგულებაში ხორცის ჩაბარებისაგან და ვალდებულებათა ჩაუბარებლობისათვის—სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისა ან 117 მუხლის თანახმად და შესაბამისობით.

3. საერთო მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის და ხელმძღვანელობის გაწევა მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული კომისიების შემოაზნისათვის მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან მოწყობილ ოთხეუბი საქონლის დამზადების საქმეთა სპეციალურ კომისიას (შტაბს), რომელსაც წინადადება ეძლევა დაადგეს ვადამწვეტ გზას ოთხეუბი საქონლის ჩამბარებლების დავალიანების სრული ლიკვიდაციისათვის კანონით გათვალისწინებული რეპრესიების უცილობელი შეფარდებით და დამზადებული ორგანოების მიერ თვისებისა და სახის მიხედვით საქონლის მიღების გვერდულენტების დაცვით.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს უკვე მიუწოდებია რაიონებისათვის სსრ კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის დამატებანი და ცვლილებანი, რაც დამატკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემოაღნიშნული, 1933 წ. იანვრის 24-ის თარიღისა და 87 №-ის, დადგენილებით.

5. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს დაუყოვნებლივ სასამართლო ორგანოებს დირექტივა შემოაღნიშნული ინსტრუქციის „ვ“ კარის 1-ლი §-ის მტკიცე შეფარდების შესახებ, რომელი პარაგრაფითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ხორცის ჩაბარების ვალდებულების შესრულებისათვის, და უზრუნველყოფის სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემული საქმეების რიგს გარეშე და დაუყოვნებელი განხილვა.

6. მიენდოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს—მისცეს პასუხისგებაში სახელმწიფო საწარმოთა; კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ გამოცემული სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების წესისამებრ (სსრ კავშირის კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360) ყველა ის პირი,

ვინც დამნაშავე იქნება დამზადებული რთხულები საქონლისა და ხორციეული პროდუქტების უკანონო (უგანწესო) ხარჯვაში.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

1933 წ. თებერვლის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ №-ში 1933 წ. მარტის

100. დადგინდება ს.კ.ს.

კოლმეურნეების და ინდივიდუალური მეურნეების ტყით დაპრემიირებისა და საკოლმეურნეო ბაზრეაზე შეძის ვაჭრობის შესახებ.

„კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეების ტყით დაპრემიირებისა და საკოლმეურნეო ბაზრეებზე შეშის ვაჭრობის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 82 №-ი, მუხ. 508), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. შემოღებულ იქნეს კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ტყით დაპრემიირება სახელმწიფო სატყეო ორგანიზაციების შეშისა და ხეტყის მასალის გამოზიდვის ვალდებულებათა შესრულებისა და გადამეტებით შესრულებისათვის, რა ვალდებულებანიც მათ ნაკისრები ჰქონდათ თვითვალდების წესით.

2. პრემიების ბიცემა მოხდება:

ა) როდესაც შეუწყვეტელი მუშაობა სწარმოებდა არა ნაკლებ, ვიდრე ერთი დეკადის განმავლობაში და ნაკისრები ვალდებულება (ნორმა) შესრულებულია, —გამოზიდული მერქნის რაოდენობის 2⁰/₁₀₀-ით;

ბ) როდესაც შეუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს არა ნაკლებ, ვიდრე ორი დეკადის განმავლობაში და ნაკისრები ვალდებულება შესრულებულია, —გამოზიდული მერქნის რაოდენობის 4⁰/₁₀₀-ით;

გ) როდესაც შეუწყვეტელი მუშაობა სწარმოებდა არა ნაკლებ, ვიდრე სამი დეკადის განმავლობაში და ნაკისრები ვალდებულება შესრულებულია, —გამოზიდული მერქნის რაოდენობის 5⁰/₁₀₀-ით.

3. საპრემიო ტყე მიეცემათ კოლმეურნეთ და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთ ზემდგარად ან დამზადებული საბით იმავე ფასად, რა ფასადაც სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი აძლევს ტყეს სახელმწიფო ორგანოებს (სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საპრემიისკორანტო ფასად) იმ სპეციალური ფონდებიდან, რაც შექმნილია თვითეულ სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში ტყის დამზადების სამუშაოთა საგვემო მოცულობის შესაბამისად.

4. საპრემიო ტყე შეიძლება გაცემულ იქნეს როგორც სამეშაოთა წარმოების ადგილას, ისე სატყეო-სამრეწველო მეურნეობიდან დასამუშავებელი პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა ნება ეძლევათ დაუბრკოლებლად გაყიდონ ამა დადგენილების თანახმად პრემიად მიღებული ზემა ბაზრებზე ან უშუალოდ მიჰყიდონ იგი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, სახლთმშობრთველობებს და სხვა მისთ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. თებერვლის 21.

ტფილისი.

კოლმუნაღური და საბინაო მშობრნობა

101. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მშობრმელთა საბინაო უფლებების სფეროში რევილუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ.

მშობრმელთა საბინაო უფლებების დაცვის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევასა და დამახინჯებასთან ბრძოლის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების დასამატებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81), ადგენენ:

1. განთავისუფლებულ ოთახებში ორდერებით ჩასახლების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად შემქმნდროებულია ბინა, სადაც განთავისუფლდა საცხოვრებელი ფართობი, — იმ თვალსაზრისით, რომ უწყებულ ბინაში მცხოვრებთ აქვთ განტიერთვის უპირობეტი უფლება.

2. აეკრძალოს მშობრმელთათვის საერთო ხარგებლობის ფართობის (სამზარეულო, საბაზანო, საკუქნაო, სარაია, ტალანი, მთავარი შესასვლელი, სადგომი, რომელსაც ერთი გასასვლელი აქვს სამზარეულოზე, კიბის გალი და სხვა მისთ.) ჩამორთმევა, კერძოდ — საცხოვრებელ სადგომად; ამისთანავე არ შეიძლება, საერთოდ, მშობრმელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება.

3. მოსპობილ იქნეს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა სასამართლოს წესის გარეშე, იმ შემთხვევის გარდა, რაც პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით.

4. აკრძალულ იქნეს აღმწავთათვის კანონით მინიჭებული შეღავათების დარღვევა.



5. აეკრძალოს სასამართლოებს მიიღონ განსახილველად:

ა) სარჩელი ოთახშიგნითი ზედმეტი ფართობის ჩამორთმევისა და სარჩელი ოთახის ცისაც უნდა იყოს ეს ფართობი, შეშქიდროების, გადასახლების, ტიხრების იძულებით გამართვის და სხვა მისთ. საშუალებით;

ბ) სარჩელი ზედმეტი გასასვლელი ოთახის და მასთან დაკავშირებული ოთახის ჩამორთმევისა, უკეთუ მოსარჩლე მხარე არ წარადგენს სამშენებლო სამმართველოს, საბანძრო დაცვის და სასანიტარო ზედამხედველობის აქტებს იმის თაობაზე, რომ ტექნიკურად შესაძლებელია და ეკონომიურად მიზანშეწონილი გასასვლელი ოთახის არაგასასვლელ ოთახად გადაქცევა;

გ) სარჩელი საერთო სარგებლობის ადგილების ჩამორთმევისა—საცხოვრებელ სადგომებად გადაქცევის მიზნით;

დ) სარჩელი ისეთი გამოსახლების თაობაზე, რაც კანონის ძალით უნდა სწარმოებდეს საადმინისტრაციო წესით.

შენიშვნა. ამა მუხლში ჩამოთვლილი სარჩელები, რაც უკვე მიღებულია სასამართლოების მიერ განსახილველად, მოისპოს.

6. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების გამოცხადების დღიდან, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და მილიციის მთავარ სამმართველოსთან ერთად, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 22.

ტილისი.

გამოქვეყნებულია ვახ. „კომუნისტის“ 58 №-ში 1933 წ. მარტის 11.

102. დადგენილება ს.პ.ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისათვის განსაზღვრული საცხოვრებელი ფართობის შეხახებ.

მუშათა და გლეხთა მილიციის შეხახები 1931 წ. მაისის 25-ის დებულებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247) და „მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების წასვლის გამო მუნიციპალური ფონდის სახლებში განთავისუფლებული ფართობის მილიციის ორგანოებზე მიმავრების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისარია საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების (ოქმი № 27) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭო ადგენს:

1. ოჯახიანი მილიციონერებისა და მუშათა და გლეხთა მილიციის თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი ფართობით დასაკმაყოფილებლად ად-

გილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები გამოკვეთენ არა ნაკლებ მათ გამგებლობაში ქონებული ახალი მშენებლობის სამინირო ფუნდის 5⁰/₁₀-ისა.

2. მთელი ის საცხოვრებელი ფართობი, რაც მუნიციპალური ფონდის სახლებში განთავსებულია მუშათა და გლეხთა მილიციის საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმჯდომეთა შედგენილობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა წასვლის გამო, გადადის მილიციის სათანადო სამმართველოს უფროსის განკარგულებაში, და ამ ფართობზე დასახლება მოხდება მისი ორდერით, რაც დარეგისტრირებულ უნდა იქნეს კომუნალური მეურნეობის ორგანოებში.

3. დადგენილება ესე ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიითურთ.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი შ. შომახია.

1933 წ. თებერვლის 21.

ტფილისი.

103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„დაქერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლებების თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლისათვის „5“ პუნქტის დამატების შესახებ.

„არაპატივისცემები მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1932 წ. 78 №-ი, მუხ. 475), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 20-ის დეკრეტს „დაქერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 82; 1931 წ. მე-10 №-ით, მუხ. 102, 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 170) დაემატოს მე-2 მუხლის „5“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[2. ადმინისტრაციული წესით გამოსახლება გამოსახლებულისათვის თავისუფალი საცხოვრებელი სივრცის მიუცემლად შეიძლება ყოველ ეამს წლის განმავლობაში:.....]

„5) სადგომებიდან, რაც მიჩენილი აქვს საწარმოს და დაწესებულების სახლში ამ საწარმოს და დაწესებულების მომუშავეს,—უკეთუ იგი დათხოვნი-



ლია შრომის კანონთა კოდექსის 47¹ მუხლის წესისამებრ მუშაობის დასაწყისში
სათვის*.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1933 წ. თებერვლის 22-

ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

104. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამო-საღების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის თებერვლის 9-ის დადგენილებების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტისა და მე-16 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამო-საღების ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის თებერვლის 9-ის დადგენილების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი და მე-16 მუხლის „ა“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 6, მუხ. 88) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[15. გამოსაღებისაგან განთავისუფლდება შენობების მქონი მუშა-მოსამსახურე და შინა-მრეწველი და ხელოსანი, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ:.....]

„ბ. უკეთეს ამ შენობების დაქირავებით მიღებული ფაქტური შემოსავალი არ აღემატება: ქ. ტფილისში—25 მანეთს თვეში, ქ. ბათუმსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, სიღნაღსა, თელავსა და კიათურას და გავრაში 20 მან. თვეში, ხოლო დანარჩენ ადგილებში—15 მან. თვეში“.

[16. შენობის ფლობის საშუალო თვიური შემოსავალი განისაზღვრება:]

„ა) მუშა-მოსამსახურეთათვის და იმ შინამრეწველთა და ხელოსანთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, ფაქტურად მიღებული შემოსავლის რაოდენობით“.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. თებერვლის 21.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 49 №-ში 1933 წ. თებერვლის 28.

სისხლის სამართალი



105. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 31² მუხლის დამატების შესახებ.

„საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირებისა, ზევადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა და მერიგეთა შედგენილობის პირებისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალების სკოლათა კურსანტებისა და აგრეთვე მათი ოჯახების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 21-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულების 9 მუხლის მე-3 შენიშვნის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 119) და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 81 №-ი, მუხ. 496), რომლითაც დამტკიცებულია იმ სახელმწიფოებრივ და სამხედრო დანაშაულთა ნუსხა, რისთვისაც ზემოაღნიშნულ პირთ უნდა ჩამოერთვას სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის უფლება, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 31² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„31². სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის წესით მისაღები ყოველგვარი სახის პენსიისა და დახმარების უფლებას ჰკარგავენ საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირები, ზევადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა და მერიგეთა შედგენილობის პირები და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სკოლათა კურსანტები, აგრეთვე ამ პირების ოჯახის წევრები, რომელთაც გადაეწყვიტათ (სასამართლო თუ საადმინისტრაციო წესით) თავისუფლების აღკვეთა საბჭოთა საარჩევნო უფლების აყრით თუ უამისოდ, განდევნა ან გადასახლება ისეთი დანაშაულისათვის, რაც ვათავალისწინებულია:

ა) სისხლის სამართლის კოდექსის 58²—58¹⁴ მუხლებით, 58¹⁶ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, 58¹⁷, 58^{17a}, 58^{17b}, 58^{17c}, 58¹⁹, 58²¹, 58²², 58²⁴ და 58²⁵ მუხლებით, 61 მუხლის მე-2 ნაწილით, 72 მუხლის 1-ლი ნაწილით, 78 მუხლით 118 მუხლის 1-ლი ნაწილით, 120, 121, 122, 123, 142, 144 და 181 მუხლებით, 183 მუხლის მე-2 ნაწილით და 194 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით;

ბ) სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) მე-2 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებით, მე-3 მუხლით, მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, მე-7 მუხლის „ე“ პუნქტით, მე-8 მუხლის „გ“ პუნქტით, მე-9 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-10 მუხლით, მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტით, მე-17 მუხლის „ბ“ პუნქტით, 20—24 მუხლებით, 25 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, 27 და 28 მუხლებით;

გ) სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებით „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საქუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360) და ამ დადგენილების განსაფითარებლად გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 21-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 232).

სრ. საქ. ც.ა.კ.ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის მდივანი ხ. თოდრაია.

1933 წ. თებერვლის 22.

ტფილისი.

106. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა აღნუსხვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 9-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 19) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„64. სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა აღნუსხვისათვის დადგენილი წესების დარღვევა პირველად, ჩასაკ ჩაიდენს სამხედრომსახური და სამხედროვალდებული და დაწესებულების თუ საწარმოს აღმინისტრაცია, გამოიწვევს სააღმინისტრაციო წესით, სათანადო სარაიონო სამხედრო კომისარიატის დადგენილების თანახმად,

ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე.

სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა აღნუსხვისათვის დადგენილი წესების განმეორებით დარღვევა:

ა) უკეთეს დარღვევა ჩაიდინა სათადარიგოდ მყოფ მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის პირმა,—

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე;

ბ) უკეთეს დარღვევა ჩაიდინა სათადარიგოდ და გრძელვადიან შეგებულებაში მყოფ საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირმა—

იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე;

გ) უკეთეს დარღვევა ჩაიდინა დაწესებულების თუ საწარმოს ადმინისტრაციამ, სახლთმშენებლობაში და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების შემსრულებლობაში,—

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალაძე-შვილი.

სსრ საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 22.

ტფილისი.

107. დადგინილება ც.ა.ბ. და ხ.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლის მე-3 ნაწილის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭო აღდგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლის მე-3 ნაწილი მიღებულ იქნება შემდეგი რედაქციით:

„შეიარაღებული ყაჩაღობა —

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალაძე-შვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 22.

ტფილისი

ფაბი 40 კაბ.